

*ვლადიმერ პაპავა*

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა  
ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი*

**გლობალური ფინანსური კრიზისი და  
მაკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე  
(თეორიული ასპექტები)**

**შესავალი**

თანამედროვე გლობალური ფინანსური კრიზისით<sup>1</sup> წარმოქმნილ უამრავ პრობლემას შორის დღის წესრიგში დგება მსოფლიო მასშტაბით<sup>2</sup> ეკონომიკაზე ზომბიფორმების შეტევის თემა, რის გამოც გაჩნდა პუბლიკაციები ე.წ. ეკონომიკის “ახალი” სფეროს –

---

<sup>1</sup> მაგალითად, **ასათიანი რ.** გლობალური ფინანსური კრიზისი და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მულტიპლიკაციური ეფექტი საქართველოში. „სოციალური ეკონომიკა“, 2009, №6; **ასათიანი რ.** საქართველოს საბანკო სისტემა გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში. „ეკონომისტი“, 2009, №4; **გველესიანი მ.** ეკონომიკური კრიზისი: თეორია და რეალობა, პარადიგმა და პარადოქსები. „ეკონომიკური განვითარების ტენდენციები“. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბ., 2009; **იაკობიძე დ.** საქართველო და მსოფლიო ფინანსური კრიზისი. თბ., “კომენტარი”, 2009; **მესხია ი.** გლობალური ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის პრობლემები. „ეკონომისტი“, 2009, №2; **მეჭავიძე ე.** ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები. თბ., “ინოვაცია”, 2009, გვ. 46-80; **Krugman P.** The Return of Depression Economics and the Crisis of 2008. New York: W.W. Norton & Company, 2008; **Григорьев Л., Салихов М.** Финансовый кризис-2008: вхождение в мировую рецессию. “Вопросы экономики”, 2008, № 12.

<sup>2</sup> **Stepek J.** How Zombie Companies Suck the Life from an Economy. MoneyWeek, 2008, November 18; <http://www.moneyweek.com/news-and-charts/economics/how-zombie-companies-suck-the-life-from-an-economy-14089.aspx>; **Willie CB J.** Gold, Zombie Banking System, Lightning, Earthquakes and Hurricanes, The Market Oracle, 2009, January 20; <http://www.marketoracle.co.uk/Article8346.html>.

“ზომბი-ნომიკის” (“zombie-nomics”)<sup>3</sup> შესახებ. ეკონომიკის ზომბირების ეს საშიშროება დამატებით პრობლემებს უქმნის პოსტკომუნისტურ ქვეყნებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ჯერ კიდევ შორს არიან საბაზრო ეკონომიკის დასავლური მოდელებისგან.

მოცემული სტატიის მიზანია იმ ძირითადი მიზეზების გამოვლენა, რომელთა გამოც პოსტკომუნისტური ეკონომიკის ზომბირება ამ ტიპის ეკონომიკის ქვეყნებისათვის მეტ დამატებით პრობლემებს წარმოქმნის, ვიდრე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის. ამასთან, სტატიაში შემოთავაზებულია ზოგიერთი ღონისძიება, რომელთა რეალიზაციასაც უპირველესი და პრინციპული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით პოსტკრიზისულ პერიოდში.

შესასწავლი პრობლემის განხილვას დავიწყებთ, ერთი მხრივ, ზომბიეკონომიკის ფენომენის და, მეორე მხრივ, პოსტკომუნისტური ეკონომიკის ძირითადი ნიშნების მოკლე დახასიათებით.

### ეკონომიკის ზომბირების იაკონური გამოცდილების შესახებ

ზომბიეკონომიკის ფენომენი, უწინარეს ყოვლისა, უკავშირდება იაკონიას, სადაც იგი გასული საუკუნის 90-იან წლებში “ჩაისახა”<sup>4</sup>. ზომბიეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს გადახდისუნარო, ფაქტობრივად გაკოტრებული ფირმები, რომლებიც ამავდროულად განაგრძობენ ფუნქციონირებას, რის გამოც მათ “ზომბებს” უწოდებენ.

ზომბიფირმების ფუნქციონირების ძირითადი ფინანსური წყაროა დაკრედიტების სისტემა<sup>5</sup>. კერძოდ, ასეთი ფირმების დაკრედიტებას ახდენენ ე.წ. ზომბიბანკები, რომლებიც ამ ფირმებს შეღავათიანი პირობებით აძლევენ კრედიტებს (კერძოდ, კრედიტებს აძლევენ საშუალო საბაზროზე დაბალი საპროცენტო განაკვეთებით)<sup>6</sup>.

<sup>3</sup> **LeLaulu L.** Zombie Economics? The Development Executive Group, 2009, 13 January; <http://www.devex.com/articles/zombie-economics>.

<sup>4</sup> მაგალითად, **Hoshi T.** Economics of the Living Dead. “The Japanese Economic Review”, 2006, Vol. 57, No. 1.

<sup>5</sup> **Caballero R.J., Hoshi T., Kashyap A.K.** Zombie Lending and Depressed Restructuring in Japan. NBER Working Paper 12129, 2006; **Smith D.C.** Loans to Japanese Borrowers. “Japanese International Economics”, 2003, Vol. 17, No. 3.

<sup>6</sup> **Smith D.C.** Loans to Japanese Borrowers. “Japanese International Economics”, 2003, Vol. 17, N3; **Hoshi T., Kashyap A.** Solutions to

ასეთი წინასწარვე გაუმართლებელი კრედიტები ამ ბანკების აშკარა დანაკარგებს იწვევს.<sup>7</sup>

ზომბიფირმების ფუნქციონირების მოცემულ სქემაში ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ როგორ ახერხებენ ზომბიბანკები არსებობის გაგრძელებას. ასეთი ბანკების უკან, როგორც წესი, დგას მთავრობა<sup>8</sup>, რომელიც გასცემს სამთავრობო გარანტიებს, ახორციელებს დეპოზიტების დაკრედიტებას, რაც, საბოლოო ანგარიშით, იწვევს იმას, რომ ზომბიბანკები გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე არსებობენ<sup>9</sup>. ამგვარი ფინანსური სტრუქტურა ერთგვარად სტიმულს აძლევს “ჯანსაღი” ფირმების ზომბებად გადაქცევას<sup>10</sup>.

სწორედ ზომბიფირმების, ზომბიბანკებისა და მთავრობის ურთიერთობის შედეგად წარმოიქმნება ზომბიეკონომიკა, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება ეკონომიკის ჯანსაღ ნაწილს. კერძოდ, ზომბიბანკების მხრიდან შეღავათიანი დაკრედიტების სისტემით უზრუნველყოფილი ზომბიფირმების არსებობა ზღუდავს ბაზარზე ჯანსაღი ფირმების წარმოქმნისა და არსებობის შესაძლებლობას<sup>11</sup>, რომლებსაც უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთებით უწევთ კრედიტების აღება<sup>12</sup>. ამასთან, შეღავათიანი დაკრედიტების გამო ზომბიფირმებს კონკურენტულ ბრძოლაში უფრო ადვილად შეუძლიათ ფასების შემცირება<sup>13</sup> და იქ მომუშავე ადამიანებისათვის ხელფასის გაზ-

---

Japan’s Banking Problems: What Might Work and What Definitely will Fail, in Ito T., Patrick H., Weinstein D.E., eds., *Reviving Japan’s Economy: Problems and Prescriptions*. Cambridge: The MIT Press, 2005.

<sup>7</sup> **Ahearne A.G., Shinada N.** Zombie firms and economic stagnation in Japan. “*International Economics and Economic Policy*”, 2005, Vol. 2, No. 4, p. 368.

<sup>8</sup> **Kane E.J.** The Dialectical Role of Information and Disinformation in Regulation-Induced Banking Crises. *Pacific-Basin Finance Journal*, 2000, Vol. 8, Issue 3-4, p. 301.

<sup>9</sup> **Kane E.J.** Capital Movements, Banking Insolvency, and Silent Runs in the Asian Financial Crisis. “*Pacific-Basin Finance Journal*”, 2000, Vol. 8, Issue 2, p. 164.

<sup>10</sup> **Hoshi T.** Op. cit., p. 40.

<sup>11</sup> Op. cit., p. 33.

<sup>12</sup> **Caballero R., Kashyap A.K.** Japan's Indian Summer. “*The Wall Street Journal*”, 2002, July 18; <http://faculty.chicagogsb.edu/anil.kashyap/research/awsj.pdf>.

<sup>13</sup> **Smith D.C.** Op. cit., p. 288.

რდა<sup>14</sup>, ზოლო ბაზარზე – ჯანსაღი ფირმების, ანუ ეფექტიანად ფუნქციონირებადი ფირმების დაშვების დაბრკოლება, საბოლოო ანგარიშით, მთელი ეკონომიკის ეფექტიანობის შემცირება<sup>15</sup>.

ზომბიეკონომიკა, როგორც ასეთი, ფინანსურ კრიზისში იღებს სათავეს<sup>16</sup>. როგორც ცნობილია, სტაგნაციის პირობებში ეკონომიკას შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წარმოებისა და ვაჭრობის უძრაობა ახასიათებს, რასაც თან სდევს უმუშევართა რიცხვის ზრდა, ხელფასისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემა. ასეთ პირობებში მთავრობისაგან, როგორც წესი, მოითხოვენ ეკონომიკის ამ მდგომარეობიდან გამოყვანას. იგი საბანკო სისტემის (საბანკო კრიზისის თავიდან ასაცილებლად) და მთელი ეკონომიკის ფუნქციონირების შენარჩუნებას საბიუჯეტო დაფინანსების გზით ცდილობს.

ფინანსური კრიზისის დასრულების შემდეგ ეკონომიკა მემკვიდრეობით იღებს მის არასიცოცხლისუნარიან ნაწილს, ეს უკანასკნელი ცდილობს შეინარჩუნოს სახელმწიფოს მხრიდან ის ფინანსური მხარდაჭერის სისტემა, რომლითაც იგი სტაგნაციის პირობებში სარგებლობდა. შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზომბიეკონომიკა ფინანსური კრიზისის მემკვიდრეობას წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, ზომბიეკონომიკის ფენომენი დამახასიათებელია არა მხოლოდ იაპონიისათვის, ან სხვა განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის<sup>17</sup>, არამედ განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვისაც<sup>18</sup>.

---

<sup>14</sup> Hoshi T. Op. cit., p. 33.

<sup>15</sup> Ahearne A.G., Shinada N. Op. cit, p. 364.

<sup>16</sup> Hoshi T., Kashyap A.K. Japan's Economic and Financial Crisis: An Overview. The Journal of Economic Perspectives, 2004, Winter; <http://faculty.chicagosb.edu/anil.kashyap/research/japancrisis.pdf>;

Ahearne A.G., Shinada N. Op. cit.

<sup>17</sup> მაგალითად, Holle P. The Evolution of a Zombie Economy. The Frontier Centre For Public Policy, 2005, March 15; [http://www.fcpp.org/main/publication\\_detail.php?PubID=979](http://www.fcpp.org/main/publication_detail.php?PubID=979).

<sup>18</sup> მაგალითად, Kane E.J. Capital Movements, Banking Insolvency, and Silent Runs in the Asian Financial Crisis.

## ნეკროეკონომიკის არსის შესახებ

ძრავალი პოსტკომუნისტური ქვეყნის გამოცდილება ცხადყოფს, რომ „მკვდარი“ ფირმები, ფინანსური კრიზისების მიუხედავად, არა მხოლოდ არსებობს, არამედ “წარმატებითაც” ფუნქციონირებს პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. ამის ახსნა უნდა ვეძებოთ მბრძანებლური ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ თავისებურებაში, რომელიც მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხარისხთან იყო დაკავშირებული.

მბრძანებლურ ეკონომიკაში კონკურენციის უარყოფამ მისი ეკონომიკური განვითარების ერთადერთი ქმედითი სტიმული გაანადგურა. ამის შედეგად, როგორც წესი, დაბალხარისხიანი პროდუქცია იწარმოებოდა, რომლის ფასიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დოტაციების ხარჯზე იყო ხელოვნურად შემცირებული. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანების ძირითადი წყარო იყო ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვით მიღებული ამონაგები, ხოლო უცხოური ვალუტის მიღების პრაქტიკულად ერთადერთ სტაბილურ არხს ნედლეულის (უწინარესად, ნავთობის) ექსპორტი წარმოადგენდა.

მბრძანებლური ეკონომიკის დანგრევამ მსოფლიო ბაზრის წინაშე “გააშიშვლა” პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკა: ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (კერძოდ, ჰიდროენერგეტიკის, ნავთობისა და გაზის მოპოვების, ასევე ნედლეულის პირველადი გადამუშავების ზოგიერთი ობიექტი), ამ ქვეყნებში წარმოებული პროდუქცია, მისი დაბალი ხარისხის ან (და) სიძვირის გამო, საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით, არაკონკურენტუნარიანი აღმოჩნდა. ამ პროდუქციისათვის ბაზარი არ არსებობს და, ფაქტობრივად, ვერც იარსებებს. ასეთი ტიპის ეკონომიკას შეგვიძლია ვუწოდოთ “შკვდარი”, ანუ *ნეკროეკონომიკა*<sup>19</sup>, ხოლო მის შემსწავლელ თეორიას *ნეკროეკონომიკის თეორია*, *ნეკროეკონომიკა*<sup>20</sup>.

<sup>19</sup> **Папова В.** Некроэкономика – феномен посткоммунистического переходного периода. “Общество и экономика”, 2001, № 5.

<sup>20</sup> **Papava V.** Necroeconomics – the Theory of Post-Communist Transformation of an Economy. “International Journal of Social Economics”, 2002, Vol. 29, No. 9/10; **Papava V.** Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism. New York: iUniverse, 2005.

აღსანიშნავია, რომ “ნეკროეკონომიკის” ცნებასთან ყველაზე მიახლოებული “ვირტუალური ეკონომიკის” ცნებაა<sup>21</sup>.

ბუნებრივია, როცა ეკონომიკის რომელიმე ნაწილი მკვდარია, მისი დანარჩენი ნაწილი სიცოცხლისუნარიანი რჩება, რომელსაც პირობითად დავარქვით ვიტალური ეკონომიკა, ანუ ვიტაეკონომიკა, ხოლო მის შემსწავლელ თეორიას – ვიტაეკონომიკის თეორია, ვიტაეკონომიქსი, რაც თავისი შინაარსით სხვა არა არის რა, თუ არა ეკონომიკური თეორია, ეკონომიქსი (საყოველთაოდ გავრცელებული გაგებით), ვინაიდან ეკონომიკური თეორია, როგორც ასეთი, სწავლობს ეკონომიკას, როგორც სიცოცხლისუნარიან სისტემას.

პირველი კითხვა, რომელიც პასუხის გაცემას მოითხოვს: რა აქვთ საერთო და რით განსხვავდება ერთმანეთისაგან ნეკროეკონომიკა ვიტაეკონომიკისგან?

ნეკროეკონომიკაში ისევე, როგორც ვიტაეკონომიკაში, შეიძლება პროდუქტის წარმოება, ანუ პრაქტიკულად შეიძლება არსებობდეს მიწოდება, მაგრამ ვიტაეკონომიკაში წარმოებული პროდუქტისაგან განსხვავებით, ნეკროეკონომიკაში წარმოებულ პროდუქტზე, მისი დაბალი ხარისხის ან (და) სიძვირის გამო, არავითარი მოთხოვნა არ არსებობს. შესაბამისად, ნეკროეკონომიკა გამოირიცხავს ყიდვა-გაყიდვის ნებისმიერ რაციონალურ აქტს, არსებითად გამოირიცხულია წონასწორული ფასის არსებობაც.

თუ ეკონომიკის გარკვეული სეგმენტი მკვდარია, მაშინ, წმინდა თეორიულად, პრობლემაც არ უნდა არსებობდეს: საღი აზრის თანახმად, ნეკროეკონომიკა არავითარ გავლენას არ უნდა ახდენდეს მის ცოცხალ ნაწილზე. ეკონომიკური თეორიის მიხედვით, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეს ასეც უნდა ხდებოდეს: არაკონკურენტუნარიანი წარმოება ისე „ქრება“, რომ ფაქტობრივად, არავითარ საგრძნობ პრობლემას არ უქმნის ეკონომიკის დანარჩენ ნაწილს. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ეკონომიკური თეორიის კვლევის არეალის შემოფარგვლა საბაზრო ეკონომიკის იმ პრობლემებით, რომელშიც ნეკროფორმების არსებობა უარყოფილია. სინამდვილეში ყველაფერი ბევრად რთულადაა.

---

<sup>21</sup> Gaddy C., Ickes B. A Russia's Virtual Economy. Washington, D.C.: “Brookings Institution Press”, 2002.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში მყოფ ქვეყნებში, ასევე, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში *ნეკროეკონომიკა ჩამოყალიბდა მბრძანებლური ეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საფუძველზე.*

პოსტკომუნისტური ეკონომიკა შედგება ნეკროეკონომიკისა და ვიტაეკონომიკის შემდეგი ჯგუფებისგან:

1. ნეკროეკონომიკა სახელმწიფო სექტორში;
2. ვიტაეკონომიკა სახელმწიფო სექტორში;
3. პრივატიზებული ნეკროეკონომიკა;
4. პრივატიზებული ვიტაეკონომიკა;
5. ახალი კერძო ინვესტიციებით შექმნილი ვიტაეკონომიკა.

პირველ ჯგუფში, როგორც წესი, შედის გადამამუშავებელი მრეწველობის მსხვილი და საშუალო ობიექტები, რომლებიც, იქ წარმოებული პროდუქციის სახეობათა დანიშნულებიდან გამომდინარე, შეფასებულია როგორც სტრატეგიული ობიექტები, თუმცა არაკონკურენტუნარიანობის გამო ეს საწარმოები ბაზრის პირობებში მკვდარია.

სახელმწიფო სექტორში არსებული ვიტაეკონომიკის საფუძველია უპირატესად ენერგეტიკა (უწინარეს ყოვლისა, ელექტროენერჯის წარმოება და გადაცემა, ნავთობისა და გაზის მოპოვება და მიწოდება), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ვაჭრობა და მომსახურების სხვა დარგები. მათი პრივატიზაციის შემთხვევაში ისინი გადადის მეოთხე ჯგუფში – პრივატიზებულ ვიტაეკონომიკაში. ამ ჯგუფმა შეიძლება მოიცვას აგრეთვე მრეწველობის ზოგიერთი საშუალო და უპირატესად მცირე ობიექტები (მათ პრივატიზაციამდე).

მესამე ჯგუფში შედის პირველი ჯგუფის საწარმოები მათი პრივატიზაციის შემდეგ. საკუთრების ფორმის შეცვლა თავისთავად სულაც არ ნიშნავს უმოქმელო საწარმოების ავტომატურ ამოქმედებას, ვინაიდან “მიცვალებულის” მდგომარეობა არ იცვლება იმის მიხედვით, თუ ის ვისია – სახელმწიფოსი თუ კერძო ფირმის. *სწორედ ამ ფაქტის იგნორირება წარმოადგენს პრივატიზაციის პროცესის შედარებითი დისკრედიტაციის ძირითად მიზეზს, როცა მას, განსაკუთრებით მის საწყის სტადიაში ინვესტირების პროცესისგან დამოუკიდებლად და იზოლირებულად, ენიჭებოდა უმოქმე-*

დო საწარმოების ამოქმედების ფუნქცია იმის მიუხედავად, ცოცხალი იყო თუ მკვდარი ყოველი კონკრეტული საწარმოს სინამდვილეში.

ბოლო, მეხუთე ჯგუფი მოიცავს პოსტკომუნისტური ეკონომიკის ყველაზე “ჯანსაღ” ნაწილს, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პრინციპების საფუძველზე ახლადაა შექმნილი კერძო ინვესტიციების ხარჯზე.

### **მკვდარი ეკონომიკის ორი ნაირსახეობა**

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ნეკროეკონომიკა და ზომბიეკონომიკა ეს ისეთი ერთი და იგივე მოვლენის აღმნიშვნელი ორი სხვადასხვა ტერმინია, როგორცაა მკვდარი ეკონომიკის არსებობა, რომელიც ფუნქციონირებას განაგრძობს მისი ასეთი მდგომარეობის მიუხედავად.

სინამდვილეში ნეკროეკონომიკისა და ზომბიეკონომიკის მსგავსება სწორედ იმით შემოიფარგლება, რომ ორივე დამახასიათებელია მკვდარი ეკონომიკისთვის<sup>22</sup>. არადა, მათ შორის განსხვავება ბევრად უფრო არსებითია.

ჯერ ერთი, ისინი ჩაისახა თვისებრივად განსხვავებულ ეკონომიკურ სისტემებში: ნეკროეკონომიკა – მბრძანებლური ეკონომიკის წიაღში, ხოლო ზომბიეკონომიკა – საბაზრო ეკონომიკის წიაღში. ამასთან, ნეკროეკონომიკა ფაქტობრივად არ არის დაკავშირებული ფინანსურ კრიზისთან, მაშინ როცა ზომბიეკონომიკა მისი უშუალო პროდუქტია.

მეტად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ზომბიფირების არსებობაში, როგორც ეს ზემოთ უკვე ითქვა, განსაკუთრებული ადგილი ზომბიბანკებს ეკუთვნის, მაშინ როცა ნეკროეკონომიკის სუბიექტები ფუნქციონირებას ლოტაცების მიღების ან გადასახადებისგან გათავისუფლების გზით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მხარდაჭერის მექანიზმების ხარჯზე ცდილობენ.

---

<sup>22</sup> **Papava V.** Post-Communist Capitalism and the Modern World of Dead Economy. “Bulletin of the Georgian National Academy of Sciences”, 2009, Vol. 3, No. 2.



ნეკროეკონომიკისა და ზომბიეკონომიკის განსხვავებათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ისიც, თუ ყველაზე ხშირად ეკონომიკის რომელ დარგებში გვხვდება ისინი. მაგალითად, ნეკროეკონომიკა უმთავრესად გადამამუშავებელი მრეწველობის მსხვილ და საშუალო ობიექტებს მოიცავს, მაშინ როცა ზომბიფირმები, როგორც იაპონური ეკონომიკის ანალიზი ცხადყოფს<sup>23</sup>, ფაქტობრივად, გადამამუშავებელ მრეწველობაში არ არსებობს. ამასთან, რაც უფრო მსხვილია პოსტკომუნისტურ ქვეყნებში გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმო, მით მეტია იმის ალბათობა, რომ ასეთი საწარმო ნეკროეკონომიკის ნაწილს წარმოადგენს, მაშინ როცა იმავე იაპონურ ეკონომიკაში მსხვილი საწარმოები არ არიან ზომბიფირმები, რადგან მათ დიდი ფინანსური შესაძლებლობები აქვთ; ზომბიფირმები ყველაზე ხშირად იმ მცირე საწარმოების ჯგუფში გვხვდება, რომლებიც შედარებით მსხვილი საწარმოებია<sup>24</sup>.

არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ თუ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში საერთაშორისო სავალუტი ფონდი და მსოფლიო ბანკი დაბეჯითებით ითხოვენ, რომ შეწყდეს ყოველგვარი ღოტაცები სახელმწიფო ბიუჯეტიდან და გამოირიცხოს რაიმე საგადასახადო შეღავათები, ფინანსური კრიზისების პირობებში მუშაობას იწყებს ლობირების სისტემა, რათა ამ ინსტიტუტებმა ფინანსური მხარდაჭერა გაუწიონ ეროვნულ მთავრობებს შეღავათიანი დაკრედიტების სისტემის შესანარჩუნებლად რესურსების გამოყოფის მიზნით<sup>25</sup>.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნეკროეკონომიკა და ზომბიეკონომიკა ორი მონათესავე, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანწილად განსხვავებული ფენომენია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ძმები არიან, მაგრამ არა – ღვიძლი“!

სამწუხაროდ, ნეკროეკონომიკასა და ზომბიეკონომიკას შორის ჩამოთვლილი განსხვავებების გათვალისწინება ყოველთვის როდი ხდება და ზოგიერთ გამოკვლევაში, ნეკროეკონომიკის თავისებურე-

---

<sup>23</sup> Hoshi T. Op. cit.

<sup>24</sup> Op. cit.

<sup>25</sup> Kane E.J. Capital Movements, Banking Insolvency, and Silent Runs in the Asian Financial Crisis, p. 163; Kane E.J. The Dialectical Role of Information and Disinformation in Regulation-Induced Banking Crises, p. 288.

ბათა უგულებელყოფით პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (უფრო ზემო-რად ჩინეთისა და რუსეთის მაგალითზე) მკვდარი ფირმების პრობ-ლემების შესწავლა წარმოებს არა ნეკროეკონომიკის, არამედ ზომ-ბიეკონომიკის კონტექსტით<sup>26</sup>.

**მკვდარი ეკონომიკის “სიცოცხლისუნარიანობის”  
საფუძვლები და გააკოტრების შესახებ  
კანონმდებლობის მნიშვნელობა**

ორივე ფენომენის – ნეკროეკონომიკისა და ზომბიეკონომიკის მიმართ მთავარი კითხვა შემდეგში მდგომარეობს: რა განაპირობებს მათ შედარებით სტაბილურ არსებობას?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია ეკონომიკური ცვლილებების ევოლუციური თეორიიდან გამომდინარე<sup>27</sup>. ამ თეო-რიის ძირითადი “ინსტრუმენტია” “რუტინის” (“routines”) ცნება, რომელშიც იგულისხმება ფირმების ქცევის ჩამოყალიბებული წესე-ბი და საშუალებები, რომლებიც არეგულირებს მათ (ქცევის) აღ-წარმოებას.

სწორედ მბრძანებლური ეკონომიკის წიაღში მრავალი ათ-წლეულის განმავლობაში ჩამოყალიბებული რუტინაა ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც პოსტკომუნისტურ ქვეყნებში “აიძულებს” მკვდარ საწარმოებს *იმუშაონ მბრძანებლური ეკონომიკის უკვე არარსებულ რეჟიმში*, რის შედეგადაც სპეციალური სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე მათი საწყობები ივსება არაკონკურენტუნარი-ანი პროდუქციით, ხოლო მისი რეალიზაციის პრინციპული შეუძ-ლებლობის გამო გროვდება გადაუხდელი ხელფასი, პრაქტიკულად უიმედო ვალები სახელმწიფო ბიუჯეტისადმი, სოციალური ფონდე-ბისადმი, ენერგეტიკული სექტორისადმი, სხვა საწარმოებისადმი.

---

<sup>26</sup> მაგალითად, **Lindsey B.** Against the Dead Hand: The Uncertain Struggle for Global Capitalism. New York: John Wiley & Sons, Inc., 2002, pp. 126, 153; **Kane E.J.** The Dialectical Role of Information and Disinformation in Regulation-Induced Banking Crises, pp. 300-301; **Shleifer A., Treisman D.** Without a Map: Political Tactics and Economic Reform in Russia. Cambridge: The MIT Press, 2000, p. 106-107.

<sup>27</sup> **Нельсон Р.Р., Уинтер С.Дж.** Эволюционная теория экономических изменений. Москва, ЗАО «Финстатинформ», 2000.

შედეგად წარმოიქმნება საწარმოების ურთიერთდავალიანების აბურ-  
დული ქსელი<sup>28</sup>.

მბრძანებლურ ეკონომიკაში ჩამოყალიბებული ტრადიციების თანახმად, როცა საწარმო ვალებს აგროვებდა (მათ შორის გააზრებულადაც), მისი ღირებუთორი ზემდგომ სახელმწიფო ორგანოებში (კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ სტრუქტურებში, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, ფინანსთა სამინისტროში) აყენებდა მათი ჩამოწერის საკითხს და, როგორც წესი, მიზანს აღწევდა. აქედან გამომდინარე, ვალების ჩამოწერის პრაქტიკულად შეუზღუდავი (უფრო ზუსტად, გარანტირებული) შესაძლებლობის არსებობის პირობებში, მათი დაგროვება არ აღიქმებოდა საშიშროებად საწარმოების ხელმძღვანელობისთვის. ვალების ჩამოწერის მოცემული მექანიზმი ის დამკვიდრებული რუტინაა, რომელიც, სამწუხაროდ, პერიოდულად ვლინდება პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში “საგადასახადო ამნისტიის”<sup>29</sup> სხვადასხვა ვარიაციით.

რაც შეეხება ზომბიეკონომიკის რუტინას, იგი ყალიბდება ფინანსური კრიზისების პირობებში, როცა მთავრობასა და ბანკებს შორის მყარდება ურთიერთობა არამოგებიანი ფირმების მხარდასაჭერად იმ მიზნით, რომ თავიდან იქნეს აცილებული ეკონომიკის მნიშვნელოვანი დაქვეითება და უმუშევრობის ზრდა. შედარებით ხანგრძლივი სტაგნაციის შემთხვევაში ეს ურთიერთობა გადაიზრდება იმ ფირმების ქცევის ჩამოყალიბებულ წესებად და საშუალებებად, რომლებიც არეგულირებენ ამ ქცევის აღწარმოებას, ანუ შესაბამის რუტინად. აქ მეტად მნიშვნელოვანია აღინიშნოს სტაგნაციის ხანგრძლივობა, რაც აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ შესაბამისმა რუტინამ ჩამოყალიბება მოასწროს.

ფინანსური კრიზისის დასრულების შემდეგ სწორედ ეს რუტინა უზრუნველყოფს ზომბიეკონომიკის არსებობას, რადგან, სხვა

---

<sup>28</sup> მაგალითად, **Ослунд А.** Россия: рождение рыночной экономики. Москва, “Республика”, 1996, сс. 256-264; **Ослунд А.** Строительство капитализма: рыночная трансформация стран бывшего советского блока. Москва, “Логос”, 2003, сс. 363-369, 478-480, 484-486.

<sup>29</sup> მაგალითად, **Николаев И.** Перспективы налоговой амнистии в России. “Общество и экономика”, 2002, № 6; **Шульга И.** Опыт налоговой амнистии в Казахстане. “Общество и экономика”, 2002, № 6.

თანაბარ პირობებში, და კრიზისის მიუხედავად, არც ერთი მთავრობა არ მოისურვებს, როგორც მინიმუმ, უმუშევრობის გაზრდას, რომელიც აშკარად მოიმატებს ზომბიფირმების დახურვის შემთხვევაში. ამ სიტუაციაში ჯანსაღი ფირმები ვერ მოახდენენ მომენტალურ რეაგირებას ზომბიფირმების არსებობის შეწყვეტაზე და ვერ შექმნიან ოპერატიული წესით ახალ სამუშაო ადგილებს<sup>30</sup>.

შესაბამისი ქვეყნების განვითარებაზე ნეკროეკონომიკისა და ზომბიეკონომიკის უარყოფითი გავლენა აშკარაა. შესაბამისად, უნდა გამოვავლინოთ და ავამოქმედოთ ის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება მათგან თავის დაღწევა.

ნეკროეკონომიკის პრობლემის გადაწყვეტის გასაღები ეკონომიკური ცვლილებების ზემოქმედებულ ევოლუციურ თეორიაში ძეკს.

სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს პოსტკომუნისტური ეკონომიკის ფირმების ზემოთ მოყვანილი მეხუთე ჯგუფი – კერძო სექტორი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ კერძო ინვესტიციების ხარჯზეა შექმნილი. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მის განმტკიცებასა და გაფართოებას, უნდა იზრუნოს იმ სტაბილური პოლიტიკური და მაკროეკონომიკური გარემოს შექმნისათვის, როცა კერძო ინვესტიციების ხარჯზე წარმოიქმნება ახალი ფირმები. გასათვალისწინებელია, რომ ფირმების ამ ჯგუფში ჩამოყალიბებული რუტინა თავისი ხასიათით საბაზროა და ამიტომ საზოგადოებას არავითარ ნეკროეკონომიკურ საშიშროებას არ შეუქმნის.

პოსტკომუნისტური სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტი უნდა გახდეს პირველი და მესამე ჯგუფების არეალების შემცირება მეხუთე ჯგუფის ყოველმხრივი გაფართოების გზით. კერძოდ, იმის გამო, რომ ამ ფირმების წარმოქმნა ვიტაეკონომიკის პრინციპებით ხდება, მათმა შესაბამისმა რუტინამ, ასეთი ფირმის კონკურენტუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში, უნდა უზრუნველყოს ასპარეზიდან მისი შეღარებით უმტკივნეულოდ “წასვლა”.

რაც შეეხება მეორე და მეოთხე ჯგუფებს, იმის მიუხედავად, ვერ კიდევ ეკუთვნის თუ არა მოცემული კონკრეტული საწარმო

---

<sup>30</sup> მაგალითად, **Caballero R., Kashyap A.K.** Op. cit.; **Lindsey B.** Op. cit., p. 235.

სახელმწიფოს თუ უკვე პრივატიზებულია, იგი დაუყოვნებლივ მოითხოვს ახალი ინვესტიციების მოზიდვას საკუთრების შესაბამისი წილის გაყიდვის ან გრძელვადიანი პერიოდით სტრატეგიული ინვესტორისათვის მართვის უფლების გადაცემის გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში გაიზრდება იმის ალბათობა, რომ ვიტაეკონომიკა მეორე და მეოთხე ჯგუფებიდან გადაიზრდება, შესაბამისად, პირველ და მესამე ჯგუფების ნეკროეკონომიკად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პრივატიზაცია თავისთავად სულაც არ იწვევს ნეკროეკონომიკის ავტომატურ განადგურებას. შესაბამისად, პირველი ჯგუფის სტრატეგიული მნიშვნელობის საწარმოების ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მხოლოდ ერთი გამოსავალი აქვს: მოაწყოს ღია (მათ შორის საერთაშორისო) ტენდერი სტრატეგიული ინვესტორის გამოსავლენად, რომელსაც კონკრეტული მკვდარი ობიექტი ახალი წარმოების დასაწყებად გადაეცემა.

აბსოლუტურად არავითარი პერსპექტივა არა აქვს მესამე ჯგუფს – პრივატიზებულ ნეკროეკონომიკას. ამ ნეკროეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უმეტესი ნაწილის ერთადერთი სწორი შეფასება ის არის, რომ ეს სხვა არა არის რა, თუ არა ჯართი.

თეორიულად ცხადია, რომ ნეკროეკონომიკის განადგურების ქმედითი მექანიზმი უშუალოდაა დაკავშირებული გაკოტრების შესახებ კანონმდებლობასთან. მრავალი პოსტკომუნისტური ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ ქვეყნებში, მართალია, არსებობს ოფიციალურად მიღებული კანონმდებლობა გაკოტრების შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, შესაბამისი კანონები, პრაქტიკულად, მკვდრად შობილია<sup>31</sup>, ანუ *ნეკროკანონები*, ვინაიდან საწარმოების ფაქტობრივი გაკოტრება, როგორც წესი, იურიდიულად არ ფორმდება. ასეთ ქვეყნებში ფართოდაა გავრცელებული პრაქტიკა, როცა გაკოტრების შესახებ კანონმდებლობის ამოქმედებას ხელს უშლიან, რაც მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ იგი ამა თუ იმ ქვე-

---

<sup>31</sup> **Sánchez-Andrés A., March-Poquet J.M.** The Construction of Market Institutions in Russia: A View from the Institutionalism of Polanyi. “Journal of Economic Issues”, 2002, Vol. XXXVI, No. 3.

ყანაში არსებულ ინსტიტუციონალური გარემოსადმი არ არის თავსებადი.

ის, თუ რა ხდება გაკოტრების შესახებ კანონთან დაკავშირებით, მაგალითად, საქართველოში, ნეკროეკონომიკის მნიშვნელოვანი ტვირთის<sup>32</sup> მქონე ქვეყანაში, თვალსაჩინო დასტურია იმისა, რომ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ბევრი ახალი ინსტიტუტი დასავლეთის მაგალითით იქმნება დასავლური ორიგინალების შეგნებული უშუალო იმიტაციის გზით<sup>33</sup>.

გაკოტრების შესახებ კანონმდებლობა ასევე ქმედითი ინსტრუმენტია ზომბიფორმების და ზომბიბანკების წინააღმდეგ ბრძოლაში. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებულ ქვეყნებშიც არ არის საქმე იმაზე უკეთესად, ვიდრე პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. კერძოდ, აშკარად შეინიშნება გაკოტრების ფაქტობრივი მდგომარეობის იურიდიული გაფორმების გართულების ტენდენცია<sup>34</sup>.

### მკვლარი ეკონომიკის რუტინის მატარებლები

ნეკროეკონომიკის აღმწარმოებელ რუტინას განაპირობებს იმ ადამიანთა კატეგორია, რომელიც მბრძანებლური ეკონომიკის პირობებში ჩამოყალიბებული *homo soveticus*-იდან (ანუ სახელმწიფოს მიერ ჩაგრული და მთლიანად მასზე დამოკიდებული ადამიანიდან)<sup>35</sup> საბაზრო სისტემისათვის დამახასიათებელ ადამიანის ტიპზე – *homo economicus*-ზე (ანუ ადამიანზე, რომლის განმსაზღვრელი მოტივებია ოჯახში მაქსიმალური სარგებლიანობის, ხოლო ფირმაში მაქსიმალური მოგების მიღება) გარდამავალ პროცესში

---

<sup>32</sup> Папова В., Токмазишвили М. Фундамент некроэкономики и развитие деловой активности в постреволюционной Грузии. “Кавказ & глобализация”, 2007, Т. 1 (4).

<sup>33</sup> Шаванс Б., Маньян Э. Постсоциалистические траектории и западный капитализм. “МЭ и МО”, 1999, № 12.

<sup>34</sup> მაგალითად, Cussen M.P. Changing The Face Of Bankruptcy. Investopedia, 2009; <http://www.investopedia.com/articles/pf/08/bankruptcy-act.asp?partner=NTU>.

<sup>35</sup> მაგალითად, Бузгалин А.В. Переходная экономика: курс лекций по политической экономии. Москва, Таурис, 1994, сс. 250-253.

იმყოფება, ყველა იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც განიცადა ამ კატეგორიამ სმითის შემდგომ ეპოქაში<sup>36</sup>.

რუსი აკადემიკოსის ლეონიდ აბალკინის თანახმად, “მთლიანად რუსული ეკონომიკური აზროვნების სკოლისათვის დამახასიათებელია ინდივიდუუმის საქმიანობისა და მოტივაციისადმი საერთო, სახალხო-სამეურნეო მიდგომის პრიმატის აღიარება, ინციპტივისა და სამეწარმეო ეთიკის განვითარების სოციალურ-პოლიტიკური და სულიერ-ზნეობრივი საწყისების შექმნა”, რის შედეგადაც გასაკვირი აღარ არის, რომ “ეკონომიკური ადამიანის” კონცეფციის უარყოფა და მისი საზოგადოებისაგან, საცხვრებელი გარემოდან იზოლირებულად განხილვის მცდელობა შეიძლება რუსული მსოფლმხედველობის დამახასიათებელ ნიშნად მივიჩნიოთ”. თუ ნათქვამს იმასაც დავამატებთ, რომ „...ვ.ი. ლენინი თავისი მოძღვრებით... რუსული ეკონომიკური აზროვნების ტრადიციებს განასახიერებდა“<sup>37</sup>, საკითხის ამგვარად დაყენების საფუძველზე მოგვიწევს იმის აღიარება, რომ *homo soveticus*-ი რუსული მსოფლმხედველობის წიაღში ყალიბდებოდა. ამგვარი დებულების პირობითობას მოწმობს აშკარად დამტკიცებადი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ რუსული საზოგადოების, წმინდა კოლექტივისტურად, კრებსითად და თემური სახით წარმოდგენა, მითია და სხვა არაფერი<sup>38</sup>.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის განმახორციელებელი ადამიანის ტიპი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის “მთავარი გმირი” ჩვენს მიერ კვალიფიცირებულია როგორც *homo transformativus*-ი, ანუ ადამიანი, რომელმაც ვერ შეძლო მთლიანად გათავისუფლებულიყო სახელმწიფოს მიმართ შიშისგან და მის ხარჯზე არსებობის ჩვევისგან, თუმცა ამავედროულ-

---

<sup>36</sup> მაგალითად, **Автономов В.С.** Модель человека в экономической науке. Санкт-Петербург: Экономическая школа, 1998, сс. 57-201; **Бункина М.К., Семенов А.М.** Экономический человек. Москва, Дело, 2000.

<sup>37</sup> **Абалкин Л.И.** Поиск самоопределения. Отечественная школа экономической мысли на рубеже веков. “Независимая Газета” – Политэкономия (Приложение к «НГ»), 2000, № 15 (56), 5 ноября; [http://politeconomy.ng.ru/territories/2000-11-05/1\\_search.html](http://politeconomy.ng.ru/territories/2000-11-05/1_search.html).

<sup>38</sup> **Паин Э.А.** Особый путь России: инерция без традиций. Препринт WP14/2008/01. Москва, издательский дом ГУ ВШЭ, 2008, с. 18.

ლად იწყებს მოქმედებას მაქსიმალური სარგებლიანობისა და მოგების მიღებისათვის თავისი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე<sup>39</sup>.

იური ლევადის “ადაპტირებული ადამიანის” (“*homo adaptivus*”)<sup>40</sup> კონცეფციის თანახმად *homo transformativus*-ი ეს ისეთი ადამიანია, რომელიც თანდათან ეგუება საბაზრო ეკონომიკის იმპერატორ წესებს და თავადაც მონაწილეობს ამ წესების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ბიზნესში *homo transformativus*-ი განსაკუთრებულ ფორმას იძენს, რისი ფესვებიც სათავეს მბრძანებლურ ეკონომიკაში იღებს.

მბრძანებლური ეკონომიკის პირობებშიც კი არ ყოფილა საბაზრო ეკონომიკის ცალკეული ელემენტები 100 %-ით გამორიცხული. ის იმდენად ითრგუნებოდა სახელმწიფოს მიერ, რომ *შხოლოდ* “*ჩრდილოვან*” სექტორში არსებობდა<sup>41</sup>. მბრძანებლური ეკონომიკის პირობებში პრაქტიკულად ვერც ერთი დირექტორი (იშვიათი გამონაკლისის გარდა) ვერ უხელმძღვანელებდა საწარმოს, არსებული რეჟიმის მიერ დადგენილი კანონები რომ არ დაერღვია. ასე რომ, ცალკეულ შემთხვევებში ხდებოდა საბაზრო ეკონომიკის ელემენტების გამოყენება. ამიტომ ეს საქმიანობა “ჩრდილოვან” სექტორს განეკუთვნებოდა, ხოლო ამ საწარმოების ხელმძღვანელებს “ტენევიკებს” უწოდებდნენ<sup>42</sup>. ამის მიუხედავად, ასეთი დირექტორები მბრძანებლური ეკონომიკის პირობებში ვერ გახდნენ და პრინციპულად ვერ გახდებოდნენ საბაზრო ტიპის მეწარმეები, რადგან მათი ქცევა შეზღუდული იყო არსებული კომუნისტური

---

<sup>39</sup> Папава В. Доктрина рыночного равенства: вопросы теории и ее приложения к процессу посткоммунистической трансформации. “Общество и экономика”, 1999, № 12; Папава В. The Georgian Economy from «Shock Therapy» to «Social Promotion». “Communist Economies & Economic Transformation”, 1996, Vol. 8, No. 8.

<sup>40</sup> Левада Ю.А. «Человек приспособленный». Мониторинг общественного мнения: экономические и социальные перемены, 1999, № 5 (43) сентябрь-октябрь; <http://www.ecsocman.edu.ru/images/pubs/2006/12/02/0000296966/02levada-7-17.pdf>.

<sup>41</sup> მაკალითაძე, Шохин А.Н. Социальные проблемы перестройки. Москва, “Экономика”, 1989, с. 57-83.

<sup>42</sup> მაკალითაძე, Самсин А.И. Основы философии экономики. Москва, “Юнити”, 2003, с. 184.



რეჟიმის პოლიტიკური წინებით. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საწარმოების ამ ღირებულებებს, რომლებიც თავიანთ ქცევაში საბაზრო ტიპის ელემენტებს იყენებდნენ, ეწოდებოდათ არა “მეწარმენი”<sup>43</sup>, არამედ “საქმოსნები”.

მბრძანებლური ეკონომიკის დანგრევის შემდეგ, “ყოფილმა” საქმოსნებმა უმეტეს შემთხვევაში შეძლეს სახელმწიფო სექტორში ღირებულების აღილების შენარჩუნება<sup>44</sup>, ხოლო პრივატიზაციის პროცესში ისარგებლეს „შრომითი კოლექტივების“ უფლებებით და შესაბამისი საწარმოების<sup>45</sup> მესაკუთრენი გახდნენ, და იმის მიუხედავად, ქირაობდნენ თუ არა მენეჯერებს, განსაკუთრებით პოსტპრივატიზაციული პერიოდის საწყის ეტაპზე, ცდილობდნენ თავიანთი “საქმოსნური აზროვნებით” ემართათ ამ საწარმოების საქმიანობა<sup>46</sup>.

როგორც *homo transformativus*-ი ჯერ კიდევ არ არის *homo economicus*-ი, ისე ყოფილი საქმოსნები ვერ გადაიქცნენ მეწარმეებად. *homo transformativus*-ი სამეწარმეო სფეროში *პოსტსაქმოსნის* “ტიტულს” იძენს (ამ ფენომენის წმინდა საბჭოური წარმოშობის გამო ინგლისურშიც მიზანშეწონილია მისი რუსული ჟღერადობის შენარჩუნება – “Post-Delets”<sup>47</sup>).

*სწორედ პოსტსაქმოსნები დგანან ნეკროეკონომიკის “უკან” როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში. სწორედ ისინი არიან მბრძანებლური ეკონომიკის რუტინის შესაბამისი ქცევის “ინი-*

---

<sup>43</sup> Экономика СССР характеризовалась как «хозяйство без предпринимателя» (Гинс Г.К. Предприниматель. Frankfurt a. Main: Посев, 1992, с. 119).

<sup>44</sup> Åslund A. Russia's Capitalist Revolution: Why Market Reform Succeeded and Democracy Failed. Washington, D.C.: Peterson Institute for International Economics, 2007, pp. 137-140.

<sup>45</sup> Ослунд А. «Рентоориентированное поведение» в российской переходной экономике. “Вопросы экономики”, 1996, № 8.

<sup>46</sup> მაგალითად, **Некипелов А.** Проблемы управления экономикой в трансформируемом обществе. В кн. К.И. Микульский, ред., Социально-экономические модели в современном мире и путь России; книга 1: Трансформация постсоциалистического общества. Москва, “Экономика”, 2003, с. 127.

<sup>47</sup> Papava V., Khaduri N. On the Shadow Political Economy of the Post-Communist Transformation. An Institutional Analysis. “Problems of Economic Transition”, 1997, Vol. 40, No. 6.

ციატორები”. პოსტსაქმოსნები, იყენებენ რა ძველ “კავშირებს”, აღწევენ სახელმწიფო სტრუქტურებში (როგორც პარლამენტში, ისე მთავრობაში) და თავიანთი გავლენით ცდილობენ პოლიტიკურად გაამართლონ და გაახანგრძლივონ ნეკროეკონომიკის არსებობა<sup>48</sup>.

ზომბიეკონომიკის რუტინის გაგების გასაღებს იძლევა ჯეიმს ბიუკენენის საზოგადოებრივი არჩევანის თეორია, რომლის თანახმადაც, პოლიტიკა განმარტებულია როგორც ბაზრის განსაკუთრებული ნაირსახეობა<sup>49</sup>. ფინანსური კრიზისების პირობებში ყალიბდება სწორედ ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც, ერთი მხრივ, მთავრობის უმაღლეს მიზნად აცხადებს ეკონომიკაში ჩარევას მისი კრიზისული სიტუაციიდან გამოყვანის მიზნით, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უწყობს იმ ეკონომიკური სუბიექტების კერძო ინტერესების რეალიზაციას, რომლებიც კრიზისის გამო გაკოტრების ზღვარზე აღმოჩნდნენ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზომბიეკონომიკის რუტინა ფინანსური კრიზისის პირობებში საბაზრო ეკონომიკის პროდუქტია. შესაბამისად, ამ რუტინის მატარებელია არა უბრალოდ *homo economicus*-ი, არამედ მისი ისეთი მუტანტი, რომელიც ფინანსური კრიზისის გამო დეფორმირებული საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების პირობებთან შეგუების, ადაპტირების პროცესში ჩამოყალიბდა. პირობითად *homo economicus*-ის ასეთ მუტანტს, ჩვენი აზრით, ყველაზე ზუსტად ახასიათებს ტერმინი *zombie economicus*-ი<sup>50</sup>, რომელიც სწორედ ზომბიეკონომიკის რუტინის მატარებელია.

*zombie economicus*-ისგან, რომელიც უკვე ჩამოყალიბებულია, *homo transformativus*-ი იმით განსხვავდება, რომ იმყოფება რა საბაზრო ეკონომიკასთან, როგორც ასეთთან, შეგუების, ადაპტაციის

---

<sup>48</sup> აღსანიშნავია, რომ *homo transformativus*-ის მონაწილეობით მსგავსი სიტუაცია იქმნება სოციალურ სექტორში (იხ.: **Кук Л.Дж.** Политика, приватизация и информализация в ходе реформирования постсоветского социального государства. “Вестник Института Кеннана в России”, Вып. 13, 2008.

<sup>49</sup> **Бюкенен Дж.** Конституция экономической политики. В кн.: **Бюкенен Дж.** Сочинения. Москва, “Таурус Альфа”, 1997.

<sup>50</sup> **Parava V.** Is Zombie Economicus Coming? The Market Oracle, 2009, February 7; <http://www.marketoracle.co.uk/Article8736.html>.

პროცესში, ჯერ არ წარმოადგენს ადამიანის ჩამოყალიბებულ ტიპს. იმის გამო, რომ *homo transformativus*-ი ჩამოყალიბების პროცესშია, დგება საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია თანამედროვე კრიზისულ პირობებში *homo transformativus*-ისგან *zombie economicus*-ის ჩამოყალიბება.

## ნეკროკონომიკის ზომბირების საფრთხე

თანამედროვე გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში მრავალი ქვეყანა მიმართავს კერძო ფინანსური ინსტიტუტების, ზოგჯერ კი რეალური სექტორის<sup>51</sup> ზოგიერთი ფირმისადმი ფინანსური დახმარების სპეციალურ სამთავრობო პროგრამებს, რაც აშკარად ქმნის ზომბიეკონომიკის რუტინის ჩამოყალიბების საფრთხეს. ეს საფრთხე შეიძლება სავსებით რეალური გახდეს, თუ ფინანსური კრიზისი დროში ისე გაჭიანურდება, რომ ამ ხნის განმავლობაში აღნიშნული დახმარების განხორციელების გამო ზომბიეკონომიკის რუტინა ჩამოყალიბებას მოასწრებს.

რამდენიმე წლის წინ ამერიკის შეერთებულ შტატებში ზომბიეკონომიკის ფენომენის არსებობას გადაჭრით უარყოფდნენ<sup>52</sup>, თუმცა, ბოლო ხანს, ფინანსური კრიზისის გამო, სულ უფრო ხშირად ახსენებენ ზომბიფირმების<sup>53</sup> წარმოქმნის საშიშროებას. და მაინც, დღესაც შეინიშნება ამ პრობლემის<sup>54</sup> უგულვებელყოფის ფაქტები. ასეა თუ ისე, ფინანსური მხარდაჭერის სამთავრობო პროგრამას, სრულიად სა-

---

<sup>51</sup> **May B.** Драма 2008 года: от экономического чуда к экономическому кризису. “Вопросы экономики”, 2009, № 2, сс. 22-23.

<sup>52</sup> **Bonner W., Wiggan A.** Financial Reckoning Day: Surviving the Soft Depression of the 21st Century. New Jersey: John Wiley & Sons, Inc., 2003, p. 120.

<sup>53</sup> **Coy P.** A New Menace to the Economy: ‘Zombie’ Debtors. *BusinessWeek*, 2009, January 15; [http://www.businessweek.com/magazine/content/09\\_04/b4117024316675.htm](http://www.businessweek.com/magazine/content/09_04/b4117024316675.htm); **Krugman P.** Wall Street Voodoo. *The New York Times*, 2009, January 18; [http://www.nytimes.com/2009/01/19/opinion/19krugman.html?\\_r=2&partner=rssnyt&emc=rss](http://www.nytimes.com/2009/01/19/opinion/19krugman.html?_r=2&partner=rssnyt&emc=rss).

<sup>54</sup> **Krugman P.** The Big Dither. *The New York Times*, 2009, March 5; <http://www.nytimes.com/2009/03/06/opinion/06krugman.html>.

მართლიანად, ეძლევა ზომბიპროგრამის კვალიფიკაცია, ხოლო შეერთებული შტატების ხაზინას ზომბიეკონომიკის “დედის” სტატუსი ენიჭება<sup>55</sup>. სამართლიანობა მოითხოვს ხაზი გავუსვათ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში საბანკო სექტორის ზომბირების მიმართულებით მოძრაობის პირველი ნიშნები ჯერ კიდევ თანამედროვე ფინანსური კრიზისის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე გამოვლინდა, როცა მთავრობამ სუბსიდირების გზით მოახდინა ბანკების მიერ გასაცემი იპოთეკური კრედიტების დაზღვევის სტიმულირება მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ საყოველთაოდ მიღებულ საბანკო მოთხოვნებს<sup>56</sup>. ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინება, რომ თანამედროვე ფინანსურ კრიზისს საფუძვლად უდევს ამერიკელთა ფსიქოლოგიური სტიმულები, აიღონ ვალი, თუნდაც არ იყვნენ დარწმუნებული, რომ შეძლებენ მის დაფარვას<sup>57</sup>.

ზომბიეკონომიკის ჩამოყალიბების საშიშროება ასევე რეალური გახდა კანადისთვის<sup>58</sup> და ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნისთვისაც<sup>59</sup>.

პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში თანამედროვე ფინანსური კრიზისი ასევე ხელს უწყობს ისეთი სამთავრობო

---

<sup>55</sup> **Kunstler J.H.** The Inevitable Fate Of Our ‘Zombie’ Economy. Contrarian Stock Market Investing News, 2008, November 28; <http://www.contrarianprofits.com/articles/the-inevitable-fate-of-our-zombie-economy/9233>.

<sup>56</sup> **Holmes S.A.** Fannie Mae Eases Credit To Aid Mortgage Lending. The New York Times, 1999, September 30; <http://query.nytimes.com/gst/fullpage.html?res=9c0de7db153ef933a0575ac0a96f958260&sec=&spone=&pagewanted=all>.

<sup>57</sup> **Ольсевич Ю.** Психологические аспекты современного экономического кризиса. “Вопросы экономики”, 2009, № 2, с. 44.

<sup>58</sup> **Poschmann F.** Beware of Zombies. Financial Post, 2009, January 26; <http://network.nationalpost.com/np/blogs/fpcomment/archive/2009/01/26/beware-of-zombies.aspx>.

<sup>59</sup> **Kelly M.** Our Zombie Nation and Zombie Banks. Machine Nation, 2008, October 28; <http://machinenation.forumakers.com/economy-business-and-finance-f8/morgan-kelly-our-zombie-nation-and-zombie-banks-t1496.htm#43586>; **Schnittger F.** Ireland's Zombie Economy. European Tribune, 2009, January 14; <http://www.eurotrib.com/?op=displaystory;sid=2009/1/14/113437/798>.

პროგრამების შემუშავებას, რომლებიც ემყარება გაკოტრების პირას მისული ბანკებისა და ფირმების ფინანსურ მხარდაჭერას<sup>60</sup>.

გრძელვადიანი შეღავათიანი დაკრედიტებისა და ინვესტირების განხორციელების მიზნით გააქტიურდა სპეციალური სახელმწიფო ინსტიტუტების (ბანკების) შექმნის პროექტები.<sup>61</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური თეორიით კარგა ხანია დამტკიცებულია და მსოფლიო გამოცდილებითაც დადასტურებული ეკონომიკის სახელმწიფო შეღავათიანი დაკრედიტების დამლუპველი ხასიათი<sup>62</sup>, განვითარებული ქვეყნებიც (რის შესახებაც ზემოთ ითქვა) და პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებიც ისევ და ისევ მიმართავენ ფინანსურ კრიზისთან დაპირისპირების ამ ინსტრუმენტს. ეს კი, საბოლოო ანგარიშით, ხელს უწყობს ზომბი-ეკონომიკის რუტინის ჩამოყალიბებას.

თანამედროვე ფინანსურმა კრიზისმა განსაკუთრებით აქტუალური გახადა “მოგების პრივატიზაციისა და ზარალის ნაციონალიზაციის” დამლუპველი პრინციპი.<sup>63</sup>

განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, რომლებსაც ფინანსური კრიზისის პირობებში რეალურად შეექმნათ ეკონომიკის ზომბირების საფრთხე, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებისათვის ეს საფრთხე ნეკროეკონომიკის გამოც არის დამძიმებული<sup>64</sup>. ფაქტობრივად, სრულიად უეჭველი იყო, რომ რუსეთის (და არა მხოლოდ) მრავალი კომპანია კრიზისის დადგომის შემთხვევა-

---

<sup>60</sup> მაგალითად, **Илларионов А.** Природа российского кризиса. Институт экономического анализа, 2008, 2 октября; <http://www.iea.ru/macroeconom.php?id=8>.

<sup>61</sup> მაგალითად, **Данилишин Б.** Экономика Украины: жизнь после кризиса? “Зеркало недели”, 2009, №1 (729), 17- 23 января; <http://www.zn.ua/2000/2020/65131/>

<sup>62</sup> მაგალითად, **Хэзлитт Г.** Типичные ошибки государственного регулирования экономики. Москва, “Серебряные нити”, 2000, с. 22-28.

<sup>63</sup> **May В.** Указ. соч., с. 10.

<sup>64</sup> **Папава В.** Проблема зомбирования посткоммунистической некроэкономики. “Вестник Института Кеннана в России”, 2009, Выпуск 15; **Папава В.** Финансовый кризис и посткоммунистический капитализм. “Мировая экономика и международные отношения”, 2009, № 8.

ში ვალების დამოუკიდებლად, სახელმწიფოს დაუხმარებლად გადახდას ვერ შეძლებდა<sup>65</sup>.

ის, რომ ფინანსური კრიზისის პირობებში ნეკროეკონომიკა თავს იჩენს სამრეწველო წარმოების მნიშვნელოვანი დაქვეითებით, გასაკვირი არ არის, თუ გავიხსენებთ ძირითადად სწორედ მრეწველობაში არსებული ნეკროეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხასიათს<sup>66</sup>. ამასთან, პოსტსაქმოსნებიც განაგრძობენ ჩვეულ მოქმედებას, აძლევენ რა ქრთამს სახელმწიფო მოხელეებს, რათა მიიღონ შედარებით “იაფი” სახელმწიფო მხარდაჭერა<sup>67</sup>.

როცა კრიზისული მოვლენები არ არსებობს, დიდი ზომის ქვეყნებში ნეკროეკონომიკის პრობლემა ნაკლებად მწვავედ იგრძნობა, ვიდრე შედარებით მცირე ქვეყნებში, ვინაიდან ეკონომიკის დიდი მასშტაბის გამო ნეკროსაწარმოებს მთავრობის ხელშეწყობით აქვთ ერთმანეთთან კონკურენციის შესაძლებლობა<sup>68</sup>, რაც ნეკროეკონომიკის არარსებობის ილუზიას ქმნის. მცირე ქვეყნებში კი ეს პრობლემა უფრო მწვავედ დგას, რადგან მრავალ ნეკროსაწარმოს ქვეყნის შიგნით რაიმე ანალოგი არა აქვს<sup>69</sup>.

თავის მხრივ, დიდ და მცირე ქვეყნებს შორის ეს განსხვავება გავლენას ახდენს სახელმწიფოს ნეკროეკონომიკისადმი მხარდაჭერის პოლიტიკაზე. კერძოდ, შიდასახელმწიფოებრივი კონკურენციის გამო ნეკროეკონომიკის არარსებობის ილუზია მნიშვნელოვანწილად აბრკოლებს ამ ქვეყნებს ნეკროეკონომიკის დაძლევის საქმე-

---

<sup>65</sup> **May B.** Указ. соч., с. 5.

<sup>66</sup> **Илларионов А.** Ноябрьский спад промышленного производства – катастрофа, которая усугубляется действиями властей. Институт экономического анализа, 2008; <http://www.iea.ru/macroeconom.php?id=14>; **Илларионов А.** Это – катастрофа. Беспрецедентный промышленный спад ноября. Институт экономического анализа, 2008; [http://www.iea.ru/econom\\_rost.php?id=26](http://www.iea.ru/econom_rost.php?id=26).

<sup>67</sup> **May B.** Указ. соч., с. 16.

<sup>68</sup> მაგალითად, **Schaffer M., Kuznetsov B.** “Productivity”, in R.M Desai, I. Goldberg, eds., Can Russia Compete? Washington, D.C.: Brookings Institution Press, 2008.

<sup>69</sup> მაგალითად, **Папава В., Беридзе Т.** Очерки политической экономии посткоммунистического капитализма (опыт Грузии). Москва, “Дело и Сервис”, 2005.

ში. მცირე ქვეყნებში კი ამა თუ იმ ნეკროსაწარმოების ანალოგების არარსებობა შეუძლებელს ხდის შიდასახელმწიფოებრივ კონკურენციას, რის შედეგადაც ამ ქვეყნებს მეტი სტიმული აქვთ დაძლიონ ნეკროეკონომიკა, თუმცა ეს სტიმულები ყოველთვის სათანადოდ არ გამოიყენება<sup>70</sup>.

ფინანსური კრიზისის პირობებში პოსტკომუნისტური ქვეყნების მთავრობებს ნეკროეკონომიკის არარსებობის ილუზიების შენარჩუნების სულ უფრო და უფრო ნაკლები შესაძლებლობები აქვთ და ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ აშკარაა მრეწველობის ზემოაღნიშნული კატასტროფული დაქვეითება.

იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ ფინანსური კრიზისები ქმნის ზომბიეკონომიკის რუტინის წარმოქმნისათვის, ანუ ეკონომიკის ზომბირებისათვის ნაყოფიერ ნიადაგს, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში ფაქტობრივად ხდება *ნეკროეკონომიკის ზომბირება*, რაც ბევრად უარესია, ვიდრე უბრალოდ განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ზომბირება. პრობლემა ის არის, რომ იაპონიის გამოცდილების თანახმად, თუ ზომბიეკონომიკა გადამამუშავებელ მრეწველობას არ შეეხო, ნეკროეკონომიკა ძირითადად სწორედ ამ დარგში არსებობს, რის შედეგადაც ნეკროეკონომიკის ზომბირება ნიშნავს მოცემული, ისედაც მკვდარი დარგის ზომბირებასაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ნეკროეკონომიკის ზომბირების პირველი სიმპტომები, მაგალითად, რუსეთში 1998 წლის აგვისტოს კრიზისის დროიდან გამოვლინდა<sup>71</sup>, რაც გახდა კიდევ პოსტკომუნისტური ზომბიეკონომიკის ფენომენის წარმოქმნის საბაბი<sup>72</sup>. თანამედროვე ფინანსურ კრიზისს კი, რომელსაც გარდა იმისა, რომ ფესვები თავად რუსეთში აქვს გადგმული და აგრეთვე გლობალური ფინანსური კრიზისითაა განმტკიცებული, შეიძლება უფრო გაჭიანურებული ხასიათი ჰქონდეს, რასაც ბევრად უფრო სერიოზული შედეგები მოჰყვება.

უწინარეს ყოვლისა ამ პროცესმა შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ *homo transformativus*-ისგან *homo economicus*-ის ჩამოყალიბე-

---

<sup>70</sup> Папава В., Токмазишвили М. Указ. соч.

<sup>71</sup> Lindsey B. Op. cit., p. 210.

<sup>72</sup> Op. cit., p. 211.

ბის ნაცვლად მივიღოთ *zombie economicus*-ი, რაც კიდევ უფრო სა-  
ეჭვოს გახდის პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკურ მომავალს.

## დასკვნა

მბრძანებლური ეკონომიკისგან მემკვიდრეობით დარჩენილი მკვდარი საწარმოები საკმაოდ “გამძლე” აღმოჩნდა, რის შედეგადაც მრავალი პოსტკომუნისტური ქვეყნის ეკონომიკა ნეკროეკონომიკის ტვირთითაა დამძიმებული. საზოგადოების სწორედ ნეკროეკონომიკური საძირკველი განსაზღვრავს პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ეკონომიკურ სახეს. ნეკროეკონომიკის რუტინის მატარებელს კი წარმოადგენს *homo transformativus*–ი – ადამიანი, რომელიც ეკონომიკას და მთელ საზოგადოებას გარდაქმნის კაპიტალისტური ფასეულობების მიმართულებით და თავადაც ამ მიმართულებით განიცდის ტრანსფორმაციას.

ეკონომიკის მკვდარი ნაწილის ფენომენი უცხო არ არის განვითარებული ეკონომიკის ზოგიერთი ქვეყნისთვისაც: ფინანსურმა კრიზისებმა ხელი შეუწყო რუტინის წარმოქმნას, რომელიც საბანკო სისტემის მეშვეობით უზრუნველყოფს ფაქტობრივად გაკოტრებული ფირმებისადმი სამთავრობო მხარდაჭერის სტაბილურობას. ამის შედეგად იქმნება ზომბიბანკების და ზომბიფირმების ქსელი, რომელიც წარმოქმნის სწორედ ზომბიეკონომიკის სისტემას.

ნეკროეკონომიკისგან განსხვავებით, რომლის რუტინის მატარებელია ჯერ ჩამოუყალიბებელი ადამიანი, ზომბიეკონომიკის რუტინის მატარებელი უკვე ცოცხალი ადამიანი კი არა, არამედ ზომბია – *zombie economicus*-ია.

თანამედროვე ფინანსური კრიზისის პირობებში ზომბიეკონომიკის საფრთხე სულ უფრო ძლიერად “უკაკუნებს კარზე” განვითარებული ეკონომიკის იმ ქვეყნებსაც, რომლებიც ბოლო დრომდე ახერხებდნენ ეკონომიკის ზომბირების თავიდან აცილებას.

ეკონომიკის ზომბირების საშიშროება კიდევ უფრო მეტად ემუქრება პოსტკომუნისტურ ქვეყნებს, რადგან ამ შემთხვევაში ნეკროეკონომიკის ზომბირებაც მოხდება, რაც პოსტკრიზისულ პერიოდში მნიშვნელოვანწილად გაართულებს ამ ქვეყნების ეკონომიკის გაჯანსაღებას.



როგორც ნეკროეკონომიკისგან, ისე ზომბიეკონომიკისგან თავის დაღწევის ერთადერთი ქმედითი მექანიზმია გაკოტრების შესახებ კანონმდებლობის ამოქმედება, რისთვისაც აუცილებელია მმართველი ელიტის შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობა. არ უნდა ველოდოთ, რომ ფინანსური კრიზისის პირობებში ამ ელიტას, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, ეყოფა პოლიტიკური გამბედაობა ამოქმედოს გაკოტრების მექანიზმი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია, რომ ეს მექანიზმი გადაუდებლად ამოქმედდეს პოსტკრიზისულ პერიოდში. და ის ქვეყანა, რომლის ხელმძღვანელობასაც ეყოფა პოლიტიკური ნება თავი დააღწიოს ზომბიეკონომიკასა და ნეკროეკონომიკას, ეკონომიკური აღმავლობისათვის მძლავრ სტიმულს შეიძენს.

*ვლადიმერ პაპავა  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა  
ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი*

## **გლობალური ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე (თეორიული ასპექტები)**

### **რეფერატი**

კომუნისტური რეჟიმისა და მბრძანებლური ეკონომიკის დანგრევის შემდეგ გამოაშკარავდა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში წარმოებული პროდუქცია, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მისი დაბალი ხარისხის ან (და) სიძვირის გამო, საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით, არაკონკურენტუნარიანია. ასეთი ტიპის ეკონომიკას “მკვდარი” ანუ ნეკროეკონომიკა უნდა ვუწოდოთ. სტატიის მიზანია პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ეკონომიკური საფუძვლების გამოყოფა და თანამედროვე ფინანსური კრიზისის კონტექსტში ამ ტიპის საზოგადოების მთავარი ეკონომიკური პრობლემების შესწავლა. საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, მკვდარი ფირმები არსებობენ და “წარმატებულადაც” კი ფუნქციონირებენ არაერთი განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყანაშიც, რომლის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი იაპონიაა.

გადახდისუუნარო, გაკოტრებულ ფირმებს, რომლებიც ამის მიუხედავად მაინც ფუნქციონირებენ “ზომბიფირმებს” უწოდებენ. განვითარებული ეკონომიკისაგან განსხვავებით, რომელსაც ფინანსური კრიზისის პირობებში ეკონომიკის ზომბირების საფრთხე ემუქრებათ, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში ეს საფრთხე კიდევ უფრო გამძაფრებულია, რადგანაც ამ შემთხვევაში ზომბირებას ნეკროეკონომიკაც ექვემდებარება.

*Vladimer Papava*

*Doctor of Economic Sciences,  
Professor, Corresponding Member of  
the Georgian National Academy of Sciences*

## **GLOBAL FINANCIAL CRISIS AND THE THREATS OF ZOMBIE-ING OF THE NECROECONOMY**

(theoretical aspects)

### **Abstract**

After the collapse of the Communist regimes and their command economies, the countries of the former Soviet Union found themselves with only a very small amount of goods to supply to the global market. In fact, no markets existed for many types of products. There was no way that they *could* have existed in that an economy of this type is nothing more than a corpse or a so-called “necroeconomy.” The purpose of this paper is to distinguish the various economic foundations of post-Communist capitalism and to examine the key economic problems of this type of society in the context of the modern financial crisis. As international experience shows, dead firms do exist and “successfully” function in the most developed of economies as well with Japan being the most obvious example. These insolvent and, in fact, bankrupt firms which continue to operate despite their “mortality” are commonly referred to as “zombie-firms.” Unlike developed economies, which are exposed to the threat of the zombie-ing of the economy under the conditions of a financial crisis, this threat is even greater for the countries of post-Communist capitalism owing also to their exposure to necroeconomy.